



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თივაქასრა



თივაქასრა (Poa), ბალახოვან მცენარეთა გვარი მარცვლოვანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად ერთწლოვანი ბალახებია. 300-ზე მეტი სახეობა გავრცელებულია ორივე ნახევარსფეროს ცივსა და ზომიერ ზონაში, ტროპიკებში – მხოლოდ მთებში.

თივაქასრა

საქართველოში იზრდება 16 სახეობა. უმრავლესობა მდელოსა და ველის მცენარეა, გვხვდება აგრეთვე ტყეშიც (P. nemoralis, P. remota), უდაბნოსა და ნახევრად უდაბნოში. სიმაღლის მიხედვით არჩევენ თის მაღალ (სათიბის) და დაბალ (საძოვრის) ტიპს. დაბალ მარცვლოვანთა შორის ცნობილია მდელოს თ. (P. pratensis); მისი სიმაღლე 30-სმ-ზე მეტია, კარგად შეფოთლილი ღერო აქვს. საგველა გადაშლილია, ყვავილის კილი – ბენვებიანი. გვალვა-და ყინვაგამძლეა. ვერ იტანს ნიადაგის დამლაშებას. გაძოვის შემდეგ სწრაფად იზრდება.

შ. ნახუცრიშვილი
